Georgian Urological Association
საქართველოს უროლოგთა ასოციაცია

საქართველოს უროლოგთა ასოციაცია

GEORGIAN UROLOGICAL ASSOCIATION

თბილისი, 2019 წლის 10 აპრილი

რეცენზია ეროვნულ გაიდლაინზე/პროტოკოლზე
“პროსტატის ლოკალური და ლოკალურად განვრცობილი კიბოს მართვა“

პროსტატის კიბო მეტად გავრცელებული ონკოუროლოგიური დაავადებაა. კერძოდ, დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში იგი პირველია სიხშირით მამაკაცების ავთვისებიან ონკოლოგიურ მიზეზებს შორის და მეორეა კიბთი განპირობებულ სიკვდილიანობაში. საქართველოს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2016 წლის მონაცემებით, პროსტატის კიბო კიბო მამაკაცებში 5 ყველაზე გავრცელებულ ავთვისებიან სიმსივნეს შორის, სიხშირით მეორეა.

უროლოგიისა და ონკოლოგიის პროგრესმა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შეცვალა მიდგომები პროსტატის კიბოს მართვაში რაც, ძირითადად მდგომარეობს დაავადების მულტიდისცპლინარული მართვის პრინციპების დანერგვაში. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ მართვის პრინციპები მნიშვნელოვნად განსხვავებულია დაავადების ლოკალური/ლოკალურად გავრცობილი და მეტასტაზირებული ფორმების დროს. თუ დაავადების ლოკალური ფორმების დროს წამყვანი როლი უროლოგებს ეკუთვნით, კიბოს შორსწასული შემთხვევები მოითხოვს რამოდენიმე სხვადასხვა პროფილის სპეციალისტის (უროლოგი, რადიაციული ონკოლოგი, კლინიკური ონკოლოგი და სხვა) ერთობლივ ჩართულობას. გამომდინარე აქედან, საქართველოს უროლოგთა ასოციაციამ, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციასთან ერთად, გადაწყვიტა შეემუშავებინა პროსტატის ლოკალური და ლოკალურად გავრცობილი კიბოს მართვის პროტოკოლი.

წარმოდგენილი პროტოკოლი შემუშავებულია ავტორთა მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ (უროლოგი, რადიაციული ონკოლოგი) სამი ყველაზე ავტორიტეტული, საერთაშორისო, სამედიცინო ასოციაციის 2018 წლის გაიდლაინენზე დაყრდნობით, ესენია:

წინანდლის ქუჩა 9, 0144 თბილისი, საქართველო | Tsinandali str. 9, 0144 Tbilisi, Georgia

+995 322 27 35 31 info@gua.org.ge
+995 322 77 44 95 www.gua.org.ge

1. ევროპის ურولოგთა ასოციაცია
2. ამერიკის ონკოლოგთა საზოგადოება
3. ევროპის სამედიცინო ონკოლოგთა ასოციაცია

დოკუმენტი გადამუშავებული და ადაპტირებულია საქართველოს რეალობაში გამოსაყენებლად. მასში, არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მოყვანილია დაავადების მართვის (დიაგნოსტიკა, ქირურგიული და მედიკამენტური თერაპია, პროფილაქტიკა და სხვა) თანამდეროვე პრინციპები. დოკუმენტში თვალსაჩინოდ, ცხრილების სახით, არის მოყვანილი არსებული მტკიცებულებები, შესაბამისი რეკომენდაციები და მათი ხარისხი.

პროტოკოლი საშუალებას მისცემს ქართველ ექიმებს ყველაზე თანამედროვე მეთოდებით უმკურნალონ პროსტატის კიბოს მქონე პაციენტებს.

პროტოკოლი განხილულ იქნა საქართველოს ურولოგთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ რომელმაც ერთხმად დაუჭირა მხარი მის დამტკიცებას.

არჩილ ჩხოტუა
საქართველოს ურولოგთა ასოციაციის
გენერალური მდივანი